



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY



ბრძანება:ბ43. 4323191001

თარიღი:10/07/2023

**„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ივლისის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 30 ივნისის N ბ43. 432318117 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1.შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ივლისის თვის სამუშაო რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 30 ივნისის N ბ43. 432318117 ბრძანებაში, კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ივლისის თვის მე-9 სხდომა ნაცვლად 2023 წლის 27 ივლისის 12<sup>00</sup>სთ-ისა, გაიმართოს 2023 წლის 18 ივლისს 12<sup>00</sup> სთ-ზე, ზოლო საკრებულოს ბიუროს სხდომა ნაცვლად 2023 წლის 27 ივლისის 11<sup>00</sup>სთ-ისა, გაიმართოს 2023 წლის 18 ივლისს 11<sup>00</sup> სთ-ზე.

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ლელა ჩინუამ უზრუნველყოს სხდომის ჩატარების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა.

3.„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის №3).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მაია დოღბაია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

